თიბისი ბანკი



# ფასთა კოტორება სარემონტო-სარეკონსტუქციო სამუშაოების შესრულებაზე

სატენდერო დოკუმენტაცია

სს “თიბისი ბანკი” შემდგომში “მყიდველი” გიწვევთ  სარემონტო სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების ფასტა კოტირებაში მონაწილეობისათვის და გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები საპასუხი წერილის მეშვეობით.

## I. მონაწილეობის წესები

**წინადადებების გამოგზავნა შესაძლებელია: 30.06.2025წ. 12:00-დან 16:00 საათამდე.**

**ტექნიკური ხასიათის კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით:**
გიორგი კვანტალიანი (ინჟინერი) – 595 502 204  GKvantaliani@Tbcbank.com.ge

**დოკუმენტაციის მომზადება/წარდგენასთან  დაკავშირებით:**
ვახტანგ ქიტუაშვილი 599 88 45 30   Vkituashvili@Tbcbank.com.ge

## II. პირობები

ფასები წარმოდგენილი უნდა იყოს ლარში, ყველა გადასახადის ჩათვლით (დ.ღ.გ., საშემოსავლო და ა.შ.)

შემოთავაზება შევსებული უნდა იყოს ბანკის მიერ წარმოდგენილ **„დანართ N1“**-ის ფორმში, სადაც მოცემულია შესასრულებელ სამუშაოთა საჭირო მოცულობები. **„დანართ N1“**-ში ივსება მხოლოდ და მხოლოდ სამუშაოების ფასთა გრაფები, დანარიცხების პროცენტული სიდიდეები და შემსრულებლის მონაცემები.

დანარიცხების გრაფაში არ არის საშემოსავლოს პუნქტი, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული გადასახადი ხელფასების სვეტში უნდა იყოს გათვალისწინებული. დაზუსტების მიზნით მოწოდებული ყველა ტიპის  ინფორმაცია (მათ შორის ელექტრონული სახით) ითვლება წინადადების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად.

გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება (ხელშეკრულების ნიმუში იხილეთ წარმოდგენილი დრაფტის სახით) დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს უკეთეს ფასს და დააკმაყოფილებს გამოცხადებულ სატენდერო მოთხოვნებს მასალების ხარისხისა და შესრულების ვადის კუთხით.

გამარჯვების შემთხვევაში კომპანიამ „თიბისი ბანკში“ უნდა გახსნას ანგარიში ან არსებობის შემთხვევაში წარმოადგინოს  საბანკო რეკვიზიტები.

ტენდერში მონაწილეობით შემსრულებელი ადასტურებს, რომ მისი საქმიანობა აკმაყოფილებს გარემოსდაცვით, ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და შრომის მარეგულირებელი ყველა ნორმატიული აქტის მოთხოვნებს. ამასთან, ხსენებული მოთხოვნები გამყიდველის მიერ დაცული იქნება ბანკთან ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე. ამასთანავე, გამყიდველი ვალდებულია ბანკისათვის ხელშეკრულებით

გათვალისწინებული პირობების შესრულებისას წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაცია განახორციელოს საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების მიხედვით.

გამარჯვებული ვალდებულია სამუშაოები წარმართოს საქართველოს მთავრობის N341 დადგენილების შესაბამისად, რაც გულისხმობს სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების ტექნიკურ რეგლამენტს (იხ. თანდართული).

მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ელ. ფოსტით, მისამართზე Procurement@Tbcbank.com.ge

წინადადების მოქმედბის ვადა: მინიმუმ 30 კალ. დღე.

## III. წარმოსადგენი ინფორმაცია:

**კომპანიის რეკვიზიტები**

კომპანიის იურიდიული სახელი:
საიდენტიფიკაციო კოდი:
საკონტაქტო პირის სახელი გვარი, პოზიცია:
ელ-ფოსტა, ტელ-ნომერი:

**სამუშაოების შესრულება**

სამუშაოები წარიმართება შეუფერხებლად.

## IV. საკვალიფიკაციო მოთხოვნა

შესრულების და საგარანტიო ვადები.